საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №272
2014 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1015 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1015 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 31/12/2013წ., სარეგისტრაციო კოდი - 010240030.22.034.016265) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$კ^1$-$კ^6$“ ქვეპუნქტები:

„$კ^1$) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიერ კორესპონდენციის განხილვისა და შესაბამისი დავალებების განსაზღვრის შემდეგ მისი აღრიცხვა შესაბამისი რეზოლუციების აღნიშვნით და შემსრულებლებამდე დაყვანა სამინისტროს საქმისწარმოების სამსახურის მეშვეობით;

$კ^2$) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების დავალებათა შესრულების კონტროლის განხორციელება და აღნიშნულის თაობაზე მათთვის ინფორმაციის მიწოდება;

$კ^3$) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიერ კონტროლზე აყვანილ დოკუმენტებსა და სამსახურებრივ დავალებებზე წერილების მომზადება და შემსრულებელთათვის გადაცემა, აღნიშნულ დოკუმენტაციასა და სამსახურებრივი დავალებების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა;

$კ^4$) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების საქმიანობაში ხელშეწყობა და სამუშაო პირობების უზრუნველყოფა;

$კ^5$) მინისტრთან, მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებთან ჩატარებულ თათბირებზე მიღებული დავალებების შესრულების კონტროლი;

$კ^6$) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების შეხვედრების ორგანიზაციულ-ინფორმაციული უზრუნველყოფა;“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საჯარო ინფორმაციის სამმართველო.“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) მინისტრის აპარატი (სამმართველო).“.

3. VIII თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი VIII

საჯარო ინფორმაციის სამმართველოს კომპეტენცია

მუხლი 11. საჯარო ინფორმაციის სამმართველოს კომპეტენცია

საჯარო ინფორმაციის სამმართველო:

ა) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას;

ბ) პროაქტიულად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციას;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფისა და პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის სამინისტროს დანაყოფებიდან გამოითხოვს შესაბამის ინფორმაციებს და უზრუნველყოფს მათი შესრულების მონიტორინგს;

დ) საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სისტემის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის სტანდარტებს, ნერგავს ერთიან პრაქტიკას და აღნიშნულ საკითხებზე საერთო კოორდინაციას უწევს სამინისტროს დანაყოფებს;

ე) სამოქალაქო სექტორთან ეფექტიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის ახორციელებს კომუნიკაციის შესაბამისი სტანდარტების, სტრატეგიისა და ეფექტიანი ინსტრუმენტების შექმნასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებას;

ვ) უზრუნველყოფს სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებით ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, ასევე ორგანიზაციებისაგან შემოსული განცხადებებისა და წინადადებების ანალიზს, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, მათი დაძლევის მიზნით სტრატეგიის შემუშავებასა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას;

ზ) ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნის საფუძველზე, გამოითხოვს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფებიდან საჯარო ინფორმაციას და კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწვდის მას დაინტერესებულ პირებს;

თ) ახორციელებს მისთვის მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

4. VIII თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის IX თავი:

„თავი IX

მინისტრის აპარატის (სამმართველო) კომპეტენცია

მუხლი 11[1]. მინისტრის აპარატის (სამმართველო) კომპეტენცია

მინისტრის აპარატი (სამმართველო):

ა) ახორციელებს მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიერ ხელმოსაწერი დოკუმენტების ვიზირების ორგანიზებას;

ბ) სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფებიდან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ტერიტორიული ორგანოსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან განსაზღვრულ ვადაში იღებს თავისი საქმიანობისა და დავალებების შესრულებისათვის აუცილებელ ნებისმიერ ინფორმაციას;

გ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების დავალებების შესაბამისად, ცალკეული საკითხის მომზადებისას მუშაობს დამოუკიდებლად ან სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად;

დ) მოითხოვს დანაყოფების ხელმძღვანელი პირებისაგან, როგორც კონტროლზე აყვანილ დოკუმენტებს, ასევე ინფორმაციას მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ;

ე) ახორციელებს მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების დავალებით სხვა უფლებამოსილებას.“.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 16 ნოემბრის №892 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**